# ივერია

№ 69 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 69


**გაზეთის ფასი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | თვით | . . | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | . . | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | . . | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | . . | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | . . | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | . . | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | . . | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | . . | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | . . | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | . . | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | . . | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | . . | 1 ,, | 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის გადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---


გამოვიდა ð ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აპიღმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პავლეს ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მე მომცელიძე.**

---



**ცირკი ძმ. ნიკიტინების**

დღეს, 17 მარტს,

გაიმართება განმეორებითი კავკასიური

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე **ცერაძე ქ. მაისურაძესთან.** ჭიდაობა გაიმართება ბ-ნ ცერაძის თხოვნით. წამქცევს ჯილდოდ მიეცემა 25 მ. მეორე კავკასიური ჭიდაობა: იჭიდავებს ცნობილი ფრანგი მოჭიდავე **ვილლიმა როგინე** ცნობილი კავკასიელ მოჭიდავე **მერაბიშვილთან.** წამქცევს ჯილდოდ მიეცემა 25 მ. დასასრულ გაიმართება კომიკური პანტომიმა. ჭიდაობა გაიმართება მეორე განყოფილების ბოლოში. დაწვრილებითი ცნობები პროგრამაშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—63—1).


---

## რედაქციისაგან

გაზ. «ივერიის» დილის ახალი დეპეშები დაიბეჭდება გასასყიდად მხოლოდ იმ დღეს, როდესაც **საყურადღებო ამბები** მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან.

საჭიროა დეპეშების გამყიდავები. მსურველთ მიჰმართონ ექვთიმე ხელაძის სტამბას (იარმუკა, სომხ. სემ. სახლები).

ვისაც სურს პროვინციაში დეპეშების გაყიდვა იკისროს, მიჰმართოს «ივერიის» რედაქციას და შეატყობინოს, რამდენი ცალი ეგზავნოთ მხოლოდ ოც ცალზე ნაკლები-კი არ შეიძლება.

---


## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 მარტს,
ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ
**ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნის ვლ. ალექსი-მესხიშვილის**
**მონაწილეობით**
წარმოდგენილი იქნება

I

**ცხოვრების გმირი**

დრ. 3 მოქ. კორეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქ., თ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, აფხაზიშვილი მ. აბაშიძისა, დავითიშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, გვარაძე, გძელიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, საფაროვი, სარჯველაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი» იბსენისა, ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით.

16 მარტისათვის აღებული ბილეთები გამოდგება დღეს, 17 მარტს, რადგანაც წარმოდგენა დღეისათვისაა გადადებული.

გამგე ა. იმედაშვილი

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

---

ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 მარტს 1904 წ.,

**უკანასკნელი წარმოდგენა**

ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება,

I

**ცხოვრების მარეშე**

თანამედროვე სურ. 4 მოქ. ვ. პროტოპოპოვისა, თარგმ. შველიძის მიერ.

II

მეოთხე მოქ. თ. გ. ერისთ. კომედიიდან

## დავა

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ნათლისღების სათვის „საქმის კაცი", «სხვის ნათხარზე».

ამხ. გამგე **ვალ. გუნია.**

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ოთხშაბათს, 17 მარტს 1904 წელს,**

არტისტის ო. ი. კამიონსკისა და ქ-ნის ა. ა. კარტავინას მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

## სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმ. და 4 სურ., მუსიკა როსსინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, ლელინა; ბ-ნნი: კამიონსკი, რაისკი, ილიუშჩენკო, ფიოდოროვი, გავრილოვი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. ლ. ესპოზიტო
ხორმეისტერი ნ. მ. ენგელ-კრონი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** ხუთშაბათს, 18 მარტს, ო. ი. კამიონსკის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება, მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, «ევგენი ონეგინი», ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, კარრი, ჩიჟოვა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, კამიონსკი, ილიუშჩენკო, მაკაროვი, რაზუმნი.

პარასკევს, 9 მარტს, უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენაა და ბენეფისი მისის უდიდებულესობის სოლისტის ს. ნ. ფიგნერისა.

ბილეთები იყიდება.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**გ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** .—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლგი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**გ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასმაიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისდა ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდგან.—ადმირალ ტოგოს ეშმაკობა.—გირინის ძიანძინის მოადგილე — იაპონიის ელჩის თვალთმაქცობა.—ჩინეთის ნეიტრალიტეტი.—წვრილი ამბები.

გაზეთი «ნოვოსტი» ამბობს:

სრული და ყოველმხრივი ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდგან მხოლოდ პირველ ხანს მოდიოდა, როდესაც ომი დაიწყო. შემდეგ-კი ცნობები შემცირდა და დაწვრილმანდა, ზოგჯერ ხომ სრულიად არაფერს გვატყობინებენ .. არამც თუ ოფიციალური, არამედ კერძო ცნობებიც-კი ნაკლებად მოდის, თუმცა ომის ველზედ ყველგან მრავალი კორესპონდენტებია, როგორც რუსულისა, ისე უცხოელების ჟურნალ-გაზეთებისა. ტელეგრაფი არსებობს, ზოგი ამბავი ოფიციალურ ცნობებით ვრცელდება და იმავე დროს კერძო ცნობები-კი სრულიად არ მოდის, თითქო კორესპონდენტებს პირი შეუკრავთ: ამა თუ იმ შემთხვევაზე არა ვსთქვათ-რაო.

სისტემატიურად რომ მოდიოდეს ცნობები, რომელიც სტრატეგიულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ ხალხში აღარ გავრცელდებოდა ამდენი ჭორი უცხოელთა გაზეთების მეოხებით, რომელნიც მხოლოდ იაპონელთა წყაროთი სარგებლობენ.

ომის ამბები, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა ჩვენის საზოგადოებისათვის და ვერ-კი დაგვიკმაყოფილებია; ომზე ნაკლები იწერება, ვიდრე რომელსამე ჩვეულებრივს კრებაზე.

ამას გვიმტკიცებს უკანასკნელი იერიში პორტ-არტურზე, რომლის გამოც დღემდე არც ერთი კერძო დეპეშა არ მოსულა, თუმცა, მაგალითად, ჩვენი კორესპონდენტი პორტ-არტურში ცოცხალი უნდა იყოს, რადგან კერძო კაცების დახოცვის შესახებ არაფერი გაგვიგია.

ვიმეორებთ, დიდად სასურველია, რომ ომის ამბები სისტემატიურად მოდიოდეს და მკითხველებმა ნამდვილი გარემოება იცოდნენ, თორემ ომი თავისს ინტერესს დაჰკარგავს და ხალხი გულგრილობას მიეცემა.

—

ადმირალ ტოგოს, პორტ-არტურს რომ დაეცა 9 თებერვალს, ის იმედი-კი არა ჰქონდა, ეს ციხე-სიმაგრეც აეღოო, არამედ სხვა განზრახვა ექნებოდა,—ვლადივოსტოკის ესკადრა ხომ არ გამომეპარა და პორტ-არტურში არ შევიდაო. თუმცა იაპონელები დღე და ღამე უდარაჯებდნენ ვლადივოსტოკის ესადრას, რომ პორტ-არტურისკენ არ გაიპაროსო, მაგრა ადმირალ ტოგოს მაინც ეჭვი ექნებოდა, რადგან არც ვლადივოსტოკში და არც სხვაგან იაპონიის ზღვაზე ეს ესკადრა ვერსად შენიშნა და მისმა დარაჯ-ჯაშუშებმა კვალიც ვერ იპოვეს. ამისათვის, ადმირალმა ტოგომ პორტ-არტურის შინაგან ნავთსადგურს ყუმბარები დაუშინა, რომ იქ მდგომი გემები გარედ გამოსულიყვნენ, რადგან უმოძრაოდ დგომილთ იაპონელების ყუმბარები დააზიანებდნენ.

მართლაც, რიჟრაჟზე პორტ-არტურის ესკადრა დაიძრა, თითო-თითოდ ნავთსადგურიდგან გამოვიდა და ციხე-სიმაგრის გარშემო გამწკრივდა. ამ ადგილს იაპონიის ესკადრა ვერ მიუახლოვდებოდა და ვერ შეებრძოლებოდა, რადგან ციხის დიდი და შორს მსროლი ზარბაზნები არ მოუშვებდა. მაგრამ იქ მიახლოვებას ადმირალი ტოგო არცა ჰფიქრობდა. ამ დროს იმის ესკადრა სამად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი პორტ-არტურის აღმოსავლეთით იდგა, მეორე—დასავლეთით და ერთიც—სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

აღმოსავლეთის ნაწილი, სადაც თვით ადმირალი ტოგოც უნდა ყოფილიყო, დასავლეთისკენ გადავიდა და იქიდგან ნავთსადგურს ყუმბარები დაუშინა, ეტყობა, უნდოდა დარწმუნებულიყო, იქ გემები ხომ არ დარჩაო; როდესაც აღარც ერთი გემი აღარ გამოჩნდა ნავთსადგურის შესავლიდგან, ადმირალმა ტოგომ თავის ესკადრით უკან დაიწია და პორტ-არტურს შორიდგან მოუარა დასავლეთ-აღმოსავლეთისკენ. რადგან რუსის ფლოტი გამწკრივებული იყო, ადმირალ ტოგოს შეეძლო სულ დაეთვალა და გაეგო რა გემებიც იყვნენ.

თუ რომ ადმირალ ტოგოს მართლა ეს განზრახვა ჰქონდაო,—ამბობს «რ. ვ.» თანამშრომელი ვ. მ.—მა, წადილს უკვე მიაღწიაო.

—

დეპეშამ გვაცნობა, რომ გერმანიის ძიან-ძიანი ჩან-შანი გადაიცვალაო.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ჩან-შანი რუსებს თანაუგრძნობდაო,—ამბობს «მ. ვ.» კორესპონდენტი,—ხოლო ის-კი ვიცით, რომ ბოლოს დროს თავისს მოხელეებს ავალებდა, რუსებთან მეგობრული განწყობილება იქონიეთო, და არა ერთხელ გამოუცხადებია, რომ ხალხმა რუსების ქონებას ხელი არ შეახოსო

ახალი ძიან-ძინი რა გზას დაადგება, ჯერ არ ვიცით, ამას დრო გამოაჩენს. გირინის პროვინციაში სიმშვიდეა; ესევე არ ითქმის მუკდენისაზე. ქალაქ ქუანჩენძში რაღაც მითქმა-მოთქმაა. წინად იქ საკლავი საქონელი ბლომად იყიდებოდა, ეხლა-კი 20—25 სულსაც ძლივს იშოვ-

ნი,—სულ ჩინეთის მხარეს ერეკებიან. ქ. ხაი ჩენში, როგორც ამბობენ, ტიფანგუანი უკრძალავს ჩინელებს—საქონელსა და სურსათს ნუ მიჰყიდით რუსებსაო. მუკდენის ძიან-ძინმა-კი პირდაპირ გამოგვიცხადა,—მე ნუ მაწუხებთ, საჩივრებით, რომ რუსეთის ჯარისათვის სურსათს ვერა შოულობთ; ეგ ჩემი საქმე არ არისო.

განა ნეიტრალიტეტი ეს არის? რაღა ნეიტრალიტეტია, როდესაც ჩინელები სხვაგან მიერეკებიან თავიანთ საქონელს და ჩვენ უნდა დაგვამშიონ.

ჩინეთს ჯარიც გადმოჰყავს მანჯურიის საზღვრებისკენ. გენერალი მა 3 თებერვალს დიდის ჯარით წამოსულა ტუნჩჟოუდგან, რომ დაიჭიროს იჯაო, ჩულიანა და გუან-პინი. მდინარე მულინის ხეობაზედაც ჩინელების ჯარი მოდის. ჩინელები ამბობენ, მალე გოუნზანძს მოვა ვანშუნშინის რაზმიო და სინ-მინ-ტინს—ლიუსიო. ეს ადგილები რკინის გზის ახლოა და იმისთვის მოდის იქიდგან ამბავი, ხოლო რას სჩადიან ჩინეთის საზღვრების მოშორებით, ამას ჩვენ არავინ შეგვატყობინებს.

ჩვენ გვეუბნებიან, იქნება ჩინელებს ხელს არ აძლევთ და იმიტომ არა ჰყიდიან აქ საქონელსა და სურსათსაო. მაგრამ ასეთი შენიშვნა უსაფუძვლოა. ხარბინში თითქმის ყოველი სანოვაგე ერთიორად გაძვირდა. წინად ცხენი 30 მანათად იყიდებოდა. ეხლა-კი 125 მანათსაც არა სჯერდებიან. მერე რაღას უნდა მოველოდეთ?

—

უცხოელთა გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები, ვითომც იაპონიის ელჩი პეტერბურგში რუსეთის მთავრობას თვალს უხვევდა, რომ იაპონიის განზრახვას არ მიხვედრილიყოო.

იაპონიის მთავრობისაგან პეტერბურგის ელჩს კურინოს ივლისშივე ჰქონდა შეტყობილი, რომ ომი უნდა მოხდეს, ხოლო ამასთანავე დაევალა,—რუსეთის დიპლომატების ყურადღება მიაძინოს როგორმე და დაარწმუნოს, რომ იაპონიის მთავრობას მშვიდობიანობის დარღვევის იმედი და განზრახვა არა აქვსო.

ამ აზრით, საელჩომ ახალი სადგომი დაიქირავა პეტერბურგში და შეუდგა მისს მდიდრულად მორთვა-მოწყობას, რისთვისაც ფულს არა ჰზოგავდა. ამავე დროს, იაპონიის ელჩი ხშირად დადიოდა გარეშე საქმეთა სამინისტროსა და შორეულ-აღმოსავლეთის კომიტეტში, სადაც მცირე შეღავათებსა თხოულობდა იაპონიის ქვეშევრდომთათვის მანჯურიაში; ყველას არწმუნებდა, ვითომც იაპონია ისეც კმაყოფილია რუსეთის მოქმედებით შორეულ აღმოსავლეთში და ომის მიზეზს სრულიად არა ჰხედავდა.

ის-კი არა, თუ იაპონია საიდუმლოდ და საჩქაროდ ემზადებოდა საომრად.

კურინო პეტერბურგში მშვიდობიანობის გულ წრფელ მომხრედ მიაჩნდათ, მაგრამ სულ სხვა ყოფილა. ერთი'ა თუ ორის დღის წინად, ვიდრე ომი დაიწყებოდა, კურინოსთვის უკითხავს ერთს მწერალს,—საომრად ხომ არ ემზადებითო? მშვიდობიან დიპლომატს უპასუხნია:—რუსეთმა არ უნდა მოინდომოს ჩვენის ჯარის შემცირება: ჩვენ მხოლოდ 600,000 ჯარის კაცი გვყავს და საუკეთესო ფლოტიო.

ერთისა თუ ორის დღის შემდეგ, სადიპლომატიო მოლაპარაკება შეწყვეტილა და იაპონიის ფლოტი პორტ-არტურს დასცემია.

—

უცხოეთის გაზეთებს ატყობინებენ: იაპონელების წინა რაზმი ინჯუდგან ჩრდილოეთისაკენ მიდისო. რუსეთის ჯარი 150 ზარბაზნით იალუს მარჯვენა მხარესა სდგას.

იაპონელთა 3,000 საპიორი სწრაფად მუშაობს რკინის გზის ლიანდაგზე სეულიდგან პენიანამდე, რომელიც სეკდემბრისათვის მზად იქმნება. ამავე დროსთვის დამზადდება სეულ-ფუზანის რკინის გზაც. რელსები და ყოველივე საჭირო მასალა ხიდისა და ლიანდაგისა წინადვე ჰქონია დამზადებული იაპონიას და ეხლა კორეაში გადააქვს.

ჩრდილოეთ-კორეაში, ხამგიონგის ოლქში 300 კორეის ჯარის კაცი აჯანყებულა. იაპონელებმა დაამშვიდეს და განიზრახეს, რომ კორეის ჯარს იარაღი აჰყარონ და შეიარაღებული მხოლოდ 5,000 კაცი დასტოვონ.

—

შინაარსი ჩინეთის ნეიტრალიტეტის განცხადებისა:

«დაირღვა მშვიდობიანობა და ასტყდა ომი რუსეთსა და იაპონიას შორის. სამეფო სახახლეს ორთავე სახელმწიფო სამეგობრო ქვეყნად მიაჩნია და ჩინეთმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას.

ამისათვის, ვუბრძანებთ თათართა მარშლებს, გენერალ-გუბერნატორებსა და გუბერნატორებს, განკარგულება მოახდინონ, რომ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა განცხადებებით ჩააგონონ ხალხს, რათა ყველამ ამ ბრძანებით იხელმძღვანელოს, საერთაშორისო კეთილგ-აწყობილებას ხელი შეუწყოს და მრავალ-მხრივი საზოგადო ინტერესები დაიცას. დაუდევრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პეკინი, 27 დღე მეთორმეტე მთვარისა, 29 წლისა. კუანგ-სიუ».

ჩინეთის სამინისტროს განუცხადებია:

რაც შეეხება მანჯურიის სამს პროვინციას, ესენი იმპერიის საკუთრებად დარჩება. მუკდენსა და ხინგ-კინგის ქალაქებს, სადაც საიმპერატორო დინასტიის მამა-პაპათა აკლდამებია, უმეტესი ყურადღება ექმნება მიპყრობილი. ამისთვის შენგ-კინგის პროვინციის თათართა მარშალს შესაფერი დარიგება ეძლევა, რათა თვალყური ადევნოს და მოკრძალებით დაიცვას.

ჩინეთის მთავრობა ძალიან შეფიქრიანებულია, ვაი თუ ვერ მოვახერხო და მანჯურიაში სამეგობრო ნეიტრალიტეტი ვერ დავიცვაო. მანჯურიის პროვინციებში ჩინეთისა და მეომარ სახელმწიფოთა ჯარები ძალიან დაახლოვებულნი არიან და ამის გამო პასუხს ვერ ვაგებთ, თუ რომ ჩვენდა დაუკითხავად უთანხმოება და შეტაკება მოუხდათო. («ნოვ.»).

—

გაზეთ «ტანის» სამხედრო კორესპონდენტი ამბობს:

კორეაში იმდენი ჯარი ჰყავთ ეხლა იაპონელებს, რამდენიც იქ საჭიროა. ეხლა დადგა დრო, როდესაც უმთავრესი ნაწილი იაპონელთა ლაშქრისა აზიაში უნდა გაჩნდეს. ამისათვის, უფრო მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი ადგილი ლაო თუნგია. («მ. ვ.»).

—

თუმცა ადმირალი მაკაროვი ადმირალ სტარკს არ ეთანხმება, რომ პორტ-არტურის ესკადრა მხოლოდ მოგერებას უნდა სცდილობდეს, მაგრამ ისიც ვერა ჰბედვს რომ იაპონიის ესკადრას შეებას, რადგან არ უნდა შეასუსტოს ეს ესკადრა, ვიდრე ივნისში ბალტიის ზღვიდგან ესკადრა არ მოვა, რომ შეერთებულის ძალით იაპონიის ფლოტს შეებრძოლონ. (იქვე).

## ტფილისი

*** ხუთშაბათს, 18 მარტს, ქლექის საწინააღმდეგო გამოფენა დახურულ იქმნება რადგან ამ დღეს იმ დარბაზში, სადაც გამოფენაა, სასულიერო კონცერტია დანიშნული. მთელი შემოსავალი კონცერტისა გადაიდება შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** მკურნალი ბლიუმენტალი, რომელმაც ორი ლექცია წაიკითხა ტფილისში, მოკლე ხანში მოსკოვს მიემგზავრება. ლექციების წაკითხვა ქუთაისში ბ-ნმა ბლიუმენტალმა მკურნალს ა. ი. ხატისოვს მიანდო. მკურნალი ბლიუმენტალი კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამ თავისს საპატიო წევრად აირჩია.

*** სტახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, უმაღლესს მთავრობას განუზრახავს მთელი კავკასიის ნავთიანი ადგილები მეცნიერულად გამოიკვლიოს.

*** როგორც მკითხველთ უწყიან, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაზეთის წარმომადგენლებს გამგეობის კრებაზედ დასწრების უფლება არ მისცეს; დადგენილია აგრეთვე ისიც, რომ ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიათა სხდომებზედაც არ მისცენ დასწრების ნება არავის, გარდა კომისიის წევრებისა. როგორცა სჩანს, ყველა კომისიების წევრნი არ ჰფიქრობენ ასე. დასაფასებელ კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრთ წინადადება მისცა, ჩვენს სხდომებზე დასწრების უფლება მივსცეთ გაზეთის წარმომადგენელთაო. წევრებმა ეს წინადადება მიიღეს.

*** ქალაქის გამგეობა სახჭოს მომავალს კრებას განსახილველად წარუგენს საგანს 400,000 მანეთის გადადების შესახებ ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად.

*** როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ნ. გ. ქართველიშვილს და სხვათა, მთელს ჯგუფს ქართველებისას, ნება მოსვლიათ ჭიათურის რკინის გზის მისავალ-მოსავალი შტოების გაკეთებისა.

*** ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრებამ 15 მარტს გადასწყვიტა,—15,000 მანეთი გადასდოს ჭიათურაში ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დასაარსებლად. სასწავლებელთან სამთო განყოფილებაც უნდა იყოს. („ცნ. ფურც“.).

*** ხუთშაბათს, 18 მარტს, ტფილისის „კრუჟოკ“-ში გაიმართება რუსული წარმოდგენა. მთელის შემოსავლის 20% გადაიდება შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** დღემდე რუსეთის სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა შორის 6,000 მან. შეუკრებიათ. თვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს 100 მანეთი შეუწირავს. შეწირულება ჯერ კიდევ გროვდება.

*** კვირას ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგომში გიმნაზიის მოსწავლეთათვის ა. ი. ხატისოვმა ლექცია წაიკითხა ქლექის შესახებ. მოკლე ხანში ამ ლექციას ბ-ნი ხატისოვი ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გაიმეორებს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგისა. გამგე წინადადებას აძლევდა ქალაქის გამგეობას, თუ გსურთ ლომბარდის საქმეები სასურველად წავიდეს, გააძლიერეთ ლომბარდის თანხა და, ამას გარდა, ლომბარდის განყოფილება დააარსეთო. ქალაქის გამგეობა ამ აზრს პრინციპიალურად დაეთანხმა, მაგრამ სისრულეში მოყვანა ჯერ-ჯერობით შეუძლებლად სცნო. ამ საგანს ახლა საფინანსო კომისია განიხილავს.

*** ოფიციალურ გაზეთ «კავკაზ»-ში დაბეჭდილია: «ტფილისის საგუბერნიო სავლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი-საქმის მწარმოებელი, დეისტ. სტატ. სოვეტნიკი ვეიდენბაუმი, დაინიშნა კავკასიის არხეოგრაფიულ კომისიის თავმჯდომარედ. გადაყვანილ იქმნენ პოდპოლკოვნიკები: ყუბის პოლკისა, თავადნი მაყაშვილი და მაჩაბელი—ომსკის პოლკში, გორის პოლკისა ჩხეიძე—სემიპალატინსკის პოლკში და გროზნის პოლკისა ახვლედიანი—ბარნაულის პოლკში».

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გუშინწინ კახეთში გაჰგზავნა ვაზის სამკურნალო წამლები და იარაღები.

*** კვირას, 14 მარტს, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მოსწავლეთ ამ სასწავლებლის მთავრობამ გაუმართა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. მოსწავლეთ სთქვეს რამდენიმე სიმღერები და ლექსები.

*** ერთ-ერთ სატახტო გაზეთში სწერია, რომ ამერიკაში ამ ჟამად არის მღვდელი ილია ზოტიკოვიო. ჩვენ გვგონია, რომ ქართველებში უნდა იყოს ასეთი გვარი—ზოტიკაშვილი; თუ ეს ნამდვილია, ხსენებული მღვდელი ქართველი უნდა იყოს. კარგი იქნება მკვთხველმა გვაცნობოს, თუ სადმე ასეთი გვარი იცის.

*** 1903 წლის განმავლობაში ქალაქის ღამის თავ-შესაფრებში მრავლად დადიოდა თურმე ხალხი ღამის გასათევად. ქალაქის მეორე ღამის თავ-შესაფარში ამ ხნის განმავლობაში სულ მისულა 30,197 კაცი და 2,889 ქალი.

*** ხორცზედ ნიხრის გამწესებელ კომისიას ამ დღეებში კრება ექნება. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ხორცის ხარისხებად დაყოფისა და ახალ ფასის დანიშვნის შესახებ.

*** გუშინ-წინ, 15 მარტს, ღამით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველი კახეთის მევენახეთა საზოგადოების კანტორაში შეპარულა. წაუღია მხოლოდ 120 მანეთამდე. ქურდი ვერ აღმოაჩინეს ჯერ-ჯერობით.

*** 13 მარტს, დღისით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ვანქის ქუჩაზედ გაუტეხია კარები ნაზარ ჩერნიკოვის სახლისა და გამოუტანია პალტო და სხვა ნივთები, ღირებული 70 მანეთად. ეს მოპარული ნივთები აღმოაჩნდა ტფილისის მცხოვრებს იოსებ ბაჭუაშვილსა, რომელიც იქვე შეიპყრეს.

*** აბოვიანცის და ნიჟამოსის მაღაზიიდან, რომელიც ორბელიანის ქუჩაზეა, ვიღასაც ფული და ტანისამოსი გაუტანია, სულ 200 მან. ღირებულობისა. ქურდი ვერ აღმოაჩინეს.

*** სოფელ ქვემო-ხვედურეთში (გორის მაზრა) თედო ქუთათელმა მოჰკლა თავისი ცოლი.

*** ახალდაბაში, იმ ადგილას, სადაც ქვებს ამტვრევენ, ქვას ქვეშ მოუტანია სოფ. ქვიშხეთს (გორის მაზრა) მცხოვრები ვას. მესხიშვილი, რომელიც სასიკვდილოდ დაშავებულა.

## სადღეისოდ.

სომხურის ჟურნალის «მურჭის» თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ერთი წერილი, სახელად «ქართველთა ცხოვრება და მწერლობა», სადაც ავტორს, ბ-ნ ფირუმიანს, განუხილავს ყოველი ღირს-შესანიშნავი ამბავი ჩვენის ცხოვრების, თუ მწერლობისა. ბ-ნ ფირუმიანის ყურადღება მიუქცევია, სხვათა შორის, ერთ წერილსაც, რომელიც დაბეჭდილი იყო «ივერია»-ში (№ 12) «ლასის» ფსევდონიმით და ეხებოდა სასულიერო განათლების საქმეს ამიერ-კავკასიაში, როგორც გრიგორიანთ, ისე მართლ-მადიდებელთა უწყებისას, მაგრამ ერთი უნებლიეთი შეცდომა-კი ეტყობოდა წერილსა. აი, როგორი: 1904 წლის იანვრის პირველისათვის ამიერ-კავკასიაში გრიგორიანთა რიცხვი 1.100,138 სული, ხოლო მათი სასულიერო სემინარიების მოწაფეთა რაოდენობა 1,858 სული იყო; წერილის დასასრულ-კი ნათქვამი იყო ისე, თითქო ეს მოწაფეთა რიცხვი მოდიოდეს მხოლოდ 242,180 გრიგორიანზე, რომელიც საქართველოში სცხოვრებს. ყოველი დაკვირვებული მკითხველი ამ გარემოებას უბრალო ლაპსუსკალამით ახსნიდა, რადგანაც წერილის დასაწყისში 1,858 მოწაფეთა რაოდენობა ჯეროვანად არის განმარტებული მხოლოდ ამიერ-კავკასიის და არა მარტო საქართველოს გრიგორიანთათვის. ამათზე-კი 1904 წლისთვის, მოდიოდა 633 მოწაფე, რომელიც ჰყავდა ტფილისის ნერსესის სემინარიას. მაგრამ ბ-ნმა ფირუმიანმა რაღაც განზრახ ჩადენილად იცნო ასეთი შეცდომა და ჰკითხულობს: «ეგ რაა, მეტის მეტი [illegible], თუ თავშეკავებული ბრმა კაცთმოძულეობაო». დიაღ, ყურადღებლობაა, რომელიც კალამს წამოსცდენია, მაგრამ კაცთმოძულეობისა-კი რა მოგახსენოთ. სწორედ იდეფიქსად გადაჰქცევიათ სომხის პუბლიცისტებს კაცთმოძულეობა, როცა-კი ქართველებისათვის მოიცლიან. ეგებ საჭიროც იყოს ასეთი თვისება ხანდახან ქართველისთვის, მაგრამ დავარწმუნებთ ბ-ნ ფირუმიანს, რომ ქართველს მისი ნიჭიც არა აქვს.

***

ბ-ნი ფირუმიანი კარგს საქმეს დასდგომია, რომ თავისს თანამემამულეშვილებს ატყობინებს ჩვენის ცხოვრებისა და მწერლობის საინტერესო ამბებსა და პატივსაცემიც არის ასეთის მოღვაწეობისთვის, მაგრამ კარგ იზამს აგრეთვე, ქართველ გრიგორიანთა საკითხსაც საფუძვლიანად შეეხებოდეს, რადგანაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გადამწყვეტელი, თუ სხვა რამ ფაქტორია, მათ შორის ესეც არის, და არც უკანასკნელი. მისი თქმა, რომ «უჯველი ადამიანი თავისუფალია ცხოვრებაში თავისის სასოებით და სარწმუნოებით», საქმეს ვერ უშველის, რადგანაც საქართველოს გრიგორიანთა სამღვდელოება და მასთან ერთად სომხის მწერლობაც, ყველას სომეხს უწოდებს, ვინც გრიგორიანია და ამის გამო და სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით ასომხებს.

ამის ღონისძიებად-კი გაუხდიათ ის სამრევლო სკოლები და სემინარია, რომელიც საქართველოში აქვთ დაარსებული და სადაც სამშობლო ქართულის ჭაჭანებაც არ ისმის, თითქო მღვდლისთვის საჭირო არ იყოს ერის ენა, ხოლო სომხურს მუნჯურად ასწავლიან. ეკლესიაშიაც ხომ საქმე გაჭირვებული აქვს ქართულსა. ერთად-ერთი ქართული ქადაგება-ღა დარჩენილა და იმასაც ისეთი განსაცდელი მოელის საქართველოს სხვა ადგილებშიაც, როგორიც ეწია ქალაქსა, სადაც სომხის მღვდელი უთუოდ სომხურად ქადაგობს, თუმცა მის მსმენელთა შორის ნახევარზე მეტი სომხურის უცოდინარია.

რა თქმა უნდა, ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, ისე იცხოვროს, როგორც «მისი სასოება და სარწმუნოება» მოითხოვს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ქართველ გრიგორიანებისთვის ასეთ სიმართლეს ნიორწყალი გადასხმია და სომხის ტერტერ-აზგასერები ჩვენ ღვიძლ ძმებს გველესიანებს, წერეთლებს, ქავთარაძეებს და ათასობით მათთანებს, მათი ბუნების წინააღმდეგ ჩასცივებიან უფალო შემაწყალეს ნუ იტყვით, სულ ტერვოდორმია იძახეთო. ვაგონილა?! რჯული და გვარტომობა ვის აურევია ერთმანერთში, მაგრამ სომხური ჭკუა თურმე ასე ჰრის.

***

ბ-ნ ფირუმიანის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე ზოგიერთ ქართველ მწიგნობართა მეცადინეობას, რაც შეიძლება მალე ქართულის ენის სრული ლექსიკონი იქნეს შედგენილი და შენიშნავს:

«ქართულის ენის უდიდესი ლექსიკონი (ქართულ-რუსული) ამ ორმოცის წლის წინეთ შეადგინა ქართველმა მეცნიერმა განსვენებულმა პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა, რომელიც გაუწევს, ორასიოდე სიტყვა ლექსიკონში შემოტანილი სომხურის ძირის არისო. ვ. კ. «დიდ დანაშაულად» უთვლის «ნიჭიერ ჩუბინაშვილს» ასეთ საქციელს. იმას ჰგონია, რომ პროფესორს პირდაპირ გამოუყენებია, გაურჩევლად, სომხური მზამზა დიდი ლექსიკონი, რამაც გაავრცელა მაშინ ცუდი აზრი შესახებ იმ როლისა, რომელსაც თამაშობდა სომხური ენაო».

ბ. ფირუმიანი, არ ვიცით, რა აზრის არის. შესაძლოა, იმასაც ჰსჯეროდეს, რაც ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში სომხურის მსგავსი სიტყვებია, სულ სომხურის ძირის იყვეს და დანაშაულად არ მიაჩნდეს ის «დიდი დანაშაული», რომელიც უწოდებია ვ. კ. ჩუბინაშვილის საქციელისთვის, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მეცნიერება სომხურის ენის შესწავლისა ჩუბინაშვილის დროს ისეთ ნიადაგზე იდგა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო, ჩუბინაშვილიც შეცდომაში არ ჩავარდნილიყო. მაშინ ვინ მოიფიქრებდა, სომხური ენა თუ სემიტური იყო, ან თუ სომეხი იგივ ქართუ (ქალდის) ხალხი არ იყო, ვიდრე არიელთა გავლენით არ გადაგვარდებოდა. «ქართლის ცხოვრების» თქმულება «ქართველთა და სომეხთა ერთ შთამომავლობისათვის» ხომ ზღაპრად მიაჩნდათ და ქართულის ენის სემიტურობა უსაფუძვლოდ. დახე სასწაულს! იპოვეს ლურსმული წარწერები ვანის მიდამოებში, გაარჩიეს და დაადასტურეს იმ წარწერების და ქართულის ნათესაობა და ისიც, რომ არმენიაში, ქალდის და ურის მთიან ადგილებში ქრისტეს წინეთ მეშვიდე საუკუნეში მოსული ხალხი სწორეთ იყო ის არიელთა ელემენტი, რომელმაც ასე გადააგვარა და გარეგნად დაუახლოვა სომხური ენა არიულ ენებს. თორემ დავეკითხოთ ნიჭიერ ლინგვისტს ბ-ნ მარს, «სომხის მეცნიერს» და ის უკეთ აგვიხსნის ამ საკითხს თავის ახალ რუსულ თხზულებაში, რომლითაც იკვლევს ძველი სომხურის ენის ეტიმოლოგიას. ბ-ნი მარრი კუნოლოგი (ლურსმულის ნაწერის მკითხველი) არ არის, მაგრამ იმისი საკვირველი ნიჭი ენის მეცნიერებისა თავისითაც მისწვდა სომხურისა და ქართულის არსებითად ერთის ძირის ენად ცნობასა. ასე რომ სომხური და ქართული არსებითად ერთი ძირის ენა იყო არიელთა ელემენტის შემოსვლამდე არმენიაში და ეს ერთობა აშკარად გამოჩანს მას შემდეგ, როცა ენის მეცნიერი განაყენებს, განაცალკევებს არიულ ელემენტს, რომელმაც სომხური ისე თვალსაჩინოდ გადააგვარა და გაარჩია ქართულში, ხოლო უკანასკნელი იმდენად ვერ დაიქვემდებარა, რომ პირველგვარობა დაეკარგვინებინა.

***

ამას წინად რუსულ გაზეთში «კავკაზ»-ში ეწერა, ბათუმის ოლქში უნდა გაიმართოს თორმეტი სამრევლო სკოლა, სადაც სწავლება ქართულად უნდა იქმნესო. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმის ოლქში შედის ის ქვეყნები, სადაც ცხოვრებენ ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ჯერ კიდევ ისე კარგად არიან შენახულნი, რომ ქართველობით თუ არ გვჯობნიან, არ დაგვივარდებიან. უეჭველია, ამ სკოლებს სამისიონერო, ე. ი. ქრისტიანობაზე მოსაქცევი ხასიათი ექმნებათ, მაგრამ ხალხის სარწმუნოებით შემოერთების საქმე ერთობ საფრთხილოა და ამ სკოლების მოთავეებსაც სიფრთხილე ჰმართებსთ, შემოერთების საქმე განცალკევებისად არ გადაექცესთ: მკვიდრ ქართველ მაჰმადიანობას საბაბი არ მიეცეს ოსმალეთში გადასახლებისა, რაიც არც სასურველია და არც სასარგებლო. საქართველოს ნაწილი, სადაც ეხლა ქართველი მაჰმადიანები ცხოვრებენ, ძველად ქართულის განათლებისა და ქრისტეანობის ბურჯი იყო; საუკეთესო მწერლები და მაკურთხეველ-მქადაგებელნი იქიდგან გამოდიოდნენ, მაგრამ დღეს ამ ქართველ მაჰმადიანებს სარწმუნოებრივის გულმხურვალებით მართლ-მორწმუნეთა შორის მოწინავე ადგილი უჭერიათ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში გაჰმართა პირველ დასაწყისი სკოლა და ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებისათვის მათის რჯულის მოლაც მოიწვია, მაგრამ ქართველი მაჰმადიანობა ნაკლებად ეტანება. ცხადია, ამის მიზეზია მშობლების შიში, ჩვენი შვილები ვაი თუ გადარჯულდნენო.

კლდია

—

# ჩვენებური ამბები

**დ. ხონი.** ხონელებს გვაქვს ერთადერთი სამკითხველო, რომლითაც, ავად თუ კარგად, მოგვწონს თავი, მაგრამ მარტო თავ-მოწონებით, რას გვიკეთებს თუ სამკითხველოდგან არაფერ სარგებლობას არ გამოვიტანთ? დავასკუპოთ სამკითხველოს შენობა, გარედან მალმალ შევხედოთ და ვიძახოთ: «ხონელებს სამკითხველო გვაქვს და ბედნიერები ვართ-თქო». რად გვინდა ისეთი სამკითხველო, თუ შიგ არაფერი იქნება? ასეთი სამკითხველო მგლებსაც დაუგლეჯია. ხალხური თქმაა: «ჩემი ურგები ქოთანი ქვასო და შეჰამანდი ძაღლსო». ეს ანდაზა სწორედ ხონელებზეა ნათქვამი: —დღეს ჩვენი სამკითხველო არ არის კარგს ნიადაგზედ დამყარებული,—თუმცა ჟურნალ-გაზეთები მოდის, მაგრამ რა გამოვიდა, მარტო ხომ ეს ვერ დააკმაყოფილებს მკითხველთა სურვილს? სამაგიეროდ, სხვა საკითხავ წიგნებზედ-კი ძალიან ღარიბად გახლავთ და ეს სიღარიბე იმას უნდა მივაწეროთ, რომ ბ-ნნი წევრები თავის დროზედ საწევრო ფულს არ იხდიან, და თუ გადაიხდიან, ისიც ძალაუნებურად. რა თქმა უნდა, ამასიაბაში სამკითხველოც ნელ-ნელა ეთხოვება წუთი-სოფელს.

ერთის სიტყვით, ასე თუ იარა სამკითხველოს საქმემ, როგორც დღემდე, ხელიდან გამოგვეცლება. მარტო სირცხვილს სად უნდა წავუვიდეთ, რომ ერთი სამკითხველოც ვერ დავიფაროთ უბედურებისაგან? სირცხვილად ისიც საკმარისია, რომ სახელგანთქმულმა დაბამ ერთს საზაფხულო თეატრს ვერ მოუარა, თორემ სამკითხველოს დაღუპვა ხომ მეტის-მეტი თავს ლაფ დასხმა იქნება ჩვენი.

თუ გვსურს საზოგადოდ ხონელებს სამკითხველოს დღეგრძელობა, კარგს ნიადაგზე დამყარება, რომ ასცდეს იმ საფრთხეს, რომელიც დღეს მოელის, ამისათვის ყველამ გამოვიმეტოთ ორიოდე გროში სამკითხველოსათვის, რომ შემდეგში მაინც ხეირიანი ქართული წიგნები მოიპოვებოდეს.

ყოველთვის, შრომის შემდეგ, ადამიანისათვის საჭიროა დასვენება, წმინდა ჰაერზედ მოსვენებით ამოსუნთქვა აი, სწორედ ამისთვის დაუწესებია ღმერთს ექვსი დღე შრომისათვის და მეშვიდე დღე, კვირა-კი, მოსვენებისათვის. წარმოიდგინეთ, რა ყოფაში არიან ხონის ხარაზებისა, მჭედლებისა, დურგლების და სხვათა ხელოსნების შეგირდები. კვირიდან-კვირამდე, დღე და ღამე განუწყვეტელ ჭაპან-წყვეტაში არიან და კვირა-უქმე დღეებში, როდესაც საზოგადოდ ადამიანს სრული ნება აქვს მოისვენოს ან სადმე გაისეირნოს, საბრალო შეგირდები დამწყვდეულნი არიან ნესტიანსა და ჰაერ-გაფუჭებულს დუქანში. შეგირდს ნებაც არა აქვს, თავის პატრონის დაუკითხავად, სადმე წავიდეს; თუ დაეკითხა-კი, მაშინაც ერთ ან ორ საათს თუ მისცემს თავისუფლებას, მაგრამ შეგირდმა დანიშნულს ვადაზე არ უნდა გადააცილოს მისვლა, თორემ ვაი მისი ბრალი, «გააპალაჩებენ» საბრალოს.

ყველა ამას თავი დავანებოთ. ახლა არ იკითხავთ ხონის ბაზრის ქუჩების ამბავს? დღე კიდევ შეგიძლიანთ გაიაროთ როგორმე, მაგრამ ღამე გავლა არ გნებავთ? ღმერთმა დაგიფაროთ! თორემ თუ გადავარდით ჭაობში, ალლაჰმა უწყის, როგორ დაჯილდოვებული ამობრძანდებით.

დუქნების სისუფთავე? სულ განსპეტაკებულია! ქუთაისის ქუჩიდან რომ შებრძანდებით ხონის ბაზარში, პირველად ცხენების ნეხვის სუნი დაგეტაკებათ, რომელიც იქავე ცხენების გომურებიდგან გამოხრჩის. იკითხავთ, სანიტარული კომისია სად არისო? ჰმ! ალლაჰმა უწყის, სად არის...

აქეთ გაზაფხულდა, მზე ძლიერად აცხელებს. დედამიწა გათბა და ყოველმა მცენარემ ამოჰყო თავი, თითქოს მოიშორა ზამთარის ძილი და ეხლა კი სიხარულით შესთამაშებს გაკეკლუცებულს ბუნებას. ადამიანმაც, რასაკვირველია, ამგვარადვე მოიშორა ზამთრის ძილი და ცქვიტად შეუდგა შრომას.

ალ. ადამიშვილი.

—

**ხევსურეთი.** ხევსურებს ყოველივე ყოფა-ქცევა, ჩვეულება და ადათები აქვთ ძველის-ძველი, თითქმის ისევ ხელუხლები, როგორც პირველშივე დაწესებულა ამათ მამა-პაპათაგან. დღევანდელი ხევსურებიც არა ჰღალატობენ თავიანთს ჩვეულებას, წმინდად ინახავენ და სავსებით ასრულებენ. თუმცა არიან ბევრად თუ ცოტად შეგნებულნი ხევსურნიც, რომელნიც ჰგრძნობენ ზოგიერთ თავიანთ ჩვეულებათა არარაობას, უსარგებლობას, მაგრამ იმათ იმდენი ძალ-ღონე არ შესწევთ, რომ საქვეყნოდ გამოააშკარაონ თავიანთი შეხედულება ამა თუ იმ არა-სასარგებლო ჩვეულებებზე და უარ-ჰყონ ისინი, რადგანაც ხევსურთა უმეტესობა იაფად არ დაუსმენ იმათ თავიანთის ჩვეულებების შებღალვას, რომელიც მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. მოვიყვანთ ჩვენ აქ ზოგიერთ ჩვეულებას და თვით მკითხველმა განსაჯოს მათი ავ-კარგიანობა. მშობიარე დედაკაცი უწმინდურად ითვლება, ის ამ დროს უნდა გავიდეს ამ შემთხვევისათვის აშენებულ პატარა მიწურ ქოხში და იქ მოიმშობიაროს; შინ შემოსვლის ნება ორისა თუ სამის თვის შემდეგ ეძლევა. ამ ხნის განმავლობაში მისთვის საჭირო სასმელ-საჭმელს, შეშასა და სხვ. მოუტანენ პატრონები, დასდებენ ქოხის წინ, შეატყობინებენ შიგ მყოფს, რომ მოტანილს მოუაროს, თვითონ-კი წავლენ და შიგ არავითარ შემთხვევაში არ შევლენ, რადგანაც, ამათის აზრით, ამნაირის საქციელით თვითონაც გაუწმინდურდებიან. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა საქციელი დასაგმობია: ჯერ ერთი, დედაკაცი რამდენიმე თვეობით სტოვებს თავისს სახლს და იმისს ავ-კარგს თითქმის აღარც კი კითხულობს; თუ სოფლელის ოჯახში დედაკაცი არა ტრიალებს, იმის წინ წასვლა მეტად ძნელია; მეორე მხრივ, ბოსელში ნახევრად უპატრონოდ მიტოვებული დედაკაცი ცივდება, ხშირად ავად ჰხდება და გამოსვლის შემდეგ, იმის მაგიერ, რო ყური უგდოს თავისს ქმარსა და ოჯახს, თვით უხდება მოსავლელი ქმარსა და ოჯახს, ეს-კი კაი ზარალია ისედაც ყოველ მხრივ დაქვეითებულის ხევსურისათვის.

მეორე მაგალითი; ვინც რაიმე მიზეზით ისე ვერ მოიქცევა, როგორც ნამდვილი ხევსური, სვინდისის ან თემის წინაშე რაიმე დანაშაულობას ჩაიდენს,* მაგალითებრ, თავისს მშობლებს კარგად არ მოეპყრობა, ან ცოტა რამ ქურდობას ჩაიდენს, ან დასტური იქმნება და ხატში არ მივა, მაშინ იმის სოფლელნი და მთელი საგვარეულო (თემი) შეიკრიბებიან თავიანთ სალოცავ ხატში და იქ, დანაშაულობისდაგვარად, ერთხმად დაადგენენ დამნაშავისთვინ სასჯელს: მოიკვეთონ ის იმ დრომდე, სანამ ხატში არ დაჰკლავს ჭედილას ან კურატს და არ მიიპატიჟებს თავისს თემს; ამის შემდეგ მას თემიც შეურიგდება და «ჯურუმსაც» ახსნის (ამისთანა სასჯელს ხევსურები ჯურუმს ეძახიან). უწინ თურმე ხევსურები ამისთანა დამნაშავეს, ჯურუმის დადების გარდა, ჩოხის წინა კალთასაც აჭრიდნენ, რაიცა ნიშნავდა იმისს შერცხვენას; ეხლა ჩოხის კალთის მოჭრა გადააგდეს და მარტო ჯურუმსა სჯერდებიან.

მიუტევებელ ცოდვად ხევსურები სთვლიან უმიზეზოდ კაცის მოკვლას, ხატში სიარულის აკვეთას, თავის სოფლელის ან საგვარეულო ქალის შეყვარებას, თუ გინდ ეს უკანასკნელი არავითარი ნათესავი არ იყოს ვაჟისა. ამ შემთხვევაში დამნაშავეს დაარისხებენ ხატზე, დაჰკლევენ სამრისხველო საკლავს და მას სრულიად მოიკვეთამენ, ასე რომ, იმისს საქონელს (ცხვარს) თავიანთებში არ გაურევენ, არავინ დაელაპარაკება, არც იმგზავრებენ იმასთინ, არც ჭირსა და არც ლხინში აღარ მიჰხედავენ; ამისთანა ყოფა-ქცევით იძულებულს გაჰხდიან თემის წინაშე შეცოდებულს—გადასახლდეს სადმე ხევსურეთიდგან სრულებით. ვინც ამისთანა დამნაშავეს ხელს გაუმართავს რითიმე, მაშინ იმას უეჭველად ჯურუმს დაადებენ.

ცხენიან კაცს არ შეუძლიან ცხენზე იჯდეს და ისე გაიაროს სხვის სოფელში, თუ გინდ ძალიან დიდი ლაფიც იყოს; ეს სოფლელების შეურაცხყოფაა. ის სოფლის მიახლოვებისთანავე უნდა ჩამოხდეს ცხენიდან, მთელი სოფელი ფეხით გაიაროს, ხოლო როცა სოფელს გაშორდება, იქ შეუძლიან კვლავ შეჯდეს. ვინც ამ ჩვეულებას დაარღვევს, ის დაუჭრელი არ გადაურჩებათ. გარდა ამისა, კაცს არ შეუძლიან სიმღერით გაიაროს სხვის სოფლის ახლო. იქნება სოფელში მგლოვიარე არის ვინმე და ეგ კი აქა მღერისო; ამისთანა დამნაშავესაც უეჭველად დასჭრიან. ამის მაგალითი თვალ-წინ გვიდევს: იანვრის მიწურულში ორი ღულელი (ღული სოფელია) კაცი მიდიოდა ს. ჩირდილის ჭალაში სიმღერით; ეს სიმღერა ჩირდილელებმა გაიგონეს, დაესია მთელი სოფელი ამ ორ კაცს და ორივენი მძიმედ დასჭრეს. ამ შემთხვევის შემდეგ ღულელები და ჩირდილელები ერთმანეთის მტრები გახდნენ და საცა შახვდებიან, დასჭრიან ერთმანეთს.

როგორც ყველას, ისე ხევსურებს ამ ველურის მდგომარეობიდან გამოიყვანს სწავლა-განათლება, რის წინააღმდეგნიც დღეს ხევსურნი აღარ არიან. პირ-იქით, ხევსურებიც (შატილიონნი) ძლიერ მონდომებულნი არიან სკოლას, რის დაარსებაც დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც ხევსურებს, ისე ქისტებსაც, რომლებიც ხევსურების დაახლოვებით სცხოვრებენ და მათთან კარგი განწყობილებაცა აქვთ. ეს ქისტებიც მოწადინებულნი არიან სკოლას; შატილში რომ სკოლა დაარსდეს, ხევსურებთან ერთად, ქისტებიც მიაბარებენ შვილებს სკოლაში და, ამნაირად, ამ ორ ტომ ხალხში ჩამოვარდებოდა და უფრო დამკვიდრდებოდა ძმობა და სიყვარული. ნეტა ვინ გვაღირსებს შატილში სკოლას?

მიხეილ შამანაური.

## კახელ მევენახეთა საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება*).

კრება დილის 10 საათზე გაიხსნა, დაესწრო 48 წევრი. წაკითხულ იქმნა 6 მარტის კრების ოქმი, რომლითაც, შესწორების შემდეგ, კრებამ მიიღო დადგენილება: 1) შესდგეს სია ნამდვილ წევრთა, 2) დაევალოს გამგეობას, რომ 2 წევრი გამგეობისა მუდამ დაესწროს მორიგ კრებას, 3) ანგარიშის შემდგენელი მოვალეა მტკიცედ დაიცვას ტეხნიკური სახელი რიცხვისა, რომ არ იყოს იმისთანა მაგალითი, როგორც მეექვსე განყოფილებაში რიცხვი 1,641 მან. 58 კ. იმ ბოთლების ფასი, რომელიც ღვინოსთან ერთად გაყიდულია, დამტვრეულის და დაკარგულის ფასად იხსენიება. კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის აზრი ანგარიშის მეხუთე განყოფილებაზე. კომისია შენიშნავს: შარშან, როცა ერთი-ორად ღვინო ნაკლები იყო, ბოჭკები 8,026 მ. 54 კ., წელს-კი, როცა ღვინოც ბევრია და ვაჭრობაც გაცილებით მეტი შეუძენია გამგეობას, 7312 მან. 63 კაპ., თითქმის ასის თუმნით ნაკლებისა, ეს არ არის სასიამოვნო მოვლენაო.

გამგეობის თავმჯდომარე ხნის და აწ ყველტინებენ შეკითხვით: სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ბოჭკების სასყიდლად არა ჰქონდა გამგეობასაო?

გამგეობის თავმჯდომარე. ჩვენ ვადგენთ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას მარტო იმ ხარჯისას, რომელიც დაუბრუნებლივ იხარჯება, მაგალითად, დაწესებულებაში მოსამსახურეთა ჯამაგირები ბოთლის მოსაწყობი მასალა და სხვა; რაც შეეხება იმ ხარჯს, რომელიც ვეჯად საქცევია, ამის სავარაუდო აღრიცხვას არ ვადგენთ და არც შეიძლება შედგენა წინადვე, რადგანაც მისი რაოდენობა დამოკიდებულია ვაჭრობისა და სხვა მრავალ პირობებზედ, რის გათვალისწინებაც შეუძლებელია. ამ საგნების რაოდენობის სყიდვა გამოწვეულია ვაჭრობის მსვლელობის მოთხოვნილებისაგან. გადავიდეთ ისევ ბოჭკებზედ. სარევიზიო კომისიის შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა, რომ მართლა მარტო 7312 მ. 63 კ. ბოჭკა გვქონდეს, ნამდვილად ერთი-ორად მეტი გვაქვს; ჯერ თელავის ბიუროს ანგარიშში ნაჩვენები რიცხვი 5439 მ. 3 კ. თითქმის სულ ბოჭკებზეა დახარჯული, ამასთან ბოჭკების ფასიდგან დაკლებულია 10%, რაც თითქმის ას თუმანს უდრის.

კრება კმაყოფილდება განმარტებით, ხოლო ავალებს გამგეობას სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს ხოლმე ყოველისავე ხარჯისა.

ანგარიშის მე-VII განყოფ. შესახებ კრება ავალებს გამგეობას აევჯის დავთარი იქონიოს და ყოველ წელიწადს შეავსოს ხოლმე.

ანგარიშის მე-VIII და IX განყოფ. შესახებ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის შენიშვნა შესახებ ორის რიცხვისა (4143 მან. 63 კ.+692 მან. 84 კ.), რომელიც ნაზარალევად ჩაუთვლია გამგეობას, თუმცა ზოგისა ჯერ გადუწყვეტელია. კომისია აფრთხილებს გამგეობას, რომ ნისიად გაცემის დროს უფრო მომეტებული ყურადღებით იყოს. კრებაც უერთდება კომისიის აზრსა.

ანგარიშის მე-X განყოფ. განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ შაბიამანი, საქაჯავები, საწამლი იარაღები და პომპები დარჩენილია 5085 მან. 61 კ.; აქვე ჩამოვარდება ლაპარაკი თელავის ბიუროს დანაკლისზედ. გამგეობის დავმჯდომარე აცხადებს, რომ ნამდვილი რაოდენობა დანაკლისისა აქ ადგილობრივ უნდა შევადგინო დღესა, ხოლო დაახლოვებით 30 ფუთი იქნება.

თ. ალ. ვახვახიშვილი. მე წინააღმდეგი არა მაქვს-რა, რომ გამგეობამ საზოგადოების წევრებს გამოუწეროს ყოველნაირი იარაღი და სხვა სამეურნეო საშუალებანი, მაგრამ დაბანდება იმოდენა ფულისა, როგორც 5085 მან., მთელის წლით საზოგადოდ უარყოფილ უნდა იქმნას, როგორც საზარალო მოვლენა ვაჭრობაში, კერძოდ კიდევ, როცა ჯერ საზოგადოების დახლი არ არის სავსებით გასწორებული და ზოგ წევრებს ღვინის ფული ჰმართებს, ყოველის მანეთის დაბანდება საგრძნობელი იქნება დახლისათვის.

თავ. ი ჯორჯაძე. იმდენი გამოიწეროს, რამდენიც საჭიროა.

გამგეობის თავმჯდომარე. ძნელი მოსახერხებელია შესრულება თქვენის მოთხოვნილებისა: ზოგჯერ გოგირდის მოთხოვნილება დიდი, ზოგჯერ შაბიამანის მოთხოვნილება მატულობს. რომელი რომელს წელიწადს მეტი მოუნდება, ეს დამოკიდებულია ამინდზედ. ამ საგნების გამოწერა-კი ხდება ადრე, გაზაფხულზედ, როცა ჯერ არც ერთი საჭირო არ არის. რაც შეეხება საქაჯავების გამოწერას, ეს საქაჯავები საუკეთესოდ ითვლება მთელს ევროპაში და ჩვენც მოვისურვეთ მისი წევრებში გავრცელება, მით უმეტესად, რომ 20% ფასიდამ გვიკლებდნენ.

თავმჯდომარე კრებისა. ვსთხოვ კრებას, გარკვევით და ბეჯითად გამოხატოს თავისი სურვილი; გამგეობამ სამეურნეო იარაღები გამოიწეროს მხოლოდ მაშინ, როცა წევრები სთხოვენ და ექმნებათ საზოგადოების კასისაგან მისაღები ფული გამონაწერის ხარჯის დასაფარავად. კრებამ მიიღო ეს რედაქცია.

თავ. მ. რუსიშვილი. მე მომივიდა პეტერბურგიდამ წერილი, რომელიც შეეხება თელავის ბიუროს დანაკლისს და გთხოვთ, მომცეთ ნება, წავიკითხო. მე ამ წერილით შეურაცხმყოფს გოგნიევი, ვითომც მე გამევრცელებინოს ბულვარში, რომ იმას 400 ფ. აკლია. მოვიყვან მოწმეებს, რომლებთანაც თითონ უთქვამს 40 ფ. მაკლიაო.

თავმჯდომარე კრებისა. ეგ საქმე საზოგადოებას არ შეეხება, კერძო საქმეა და შეგიძლიან სხვა გზით მოსთხოვოთ პასუხი.

კრება მიემხრო სარევიზიო კომისიის შენიშვნას, რომ სათადარიგო თანხა სავსებით იქმნას სარგებლიან სახელმწიფო ბილეთებად ქცეული, რადგანაც მცირე ნაწილი ამ თანხისა ბილეთებად არა ყოფილა ქცეული რევიზიის დროს. შემდეგ გადავიდა ისევ თელავის ბიუროზედ. აღმოჩნდა, რომ ბიუროზედ დაუბრუნებელი ხარჯი ჰქონია საზოგადოებას სულ 2,768 მან. 57 კ., დასაბრუნებელი ხარჯი 2,330 მან. 75 კ. ბიუროზედ ანგარიშის განხილვა და გაგება იმისი, თუ ბიურომ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას, 8 მარტისათვის გადაიდვა.

ქ. სტანიშევსკისა უკმაყოფილებას აცხადებს ბ-ნ გოგნიევის პეტერბურგში გაგზავნაზედ.

თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა 5 წუთით.

ნადიკვრელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 66.

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«იუჟნ. ობოზრენიეში» ბ-ნი იზგოევი შესდგომია იმის გამოკვლევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის «სიმართლეს» მწერლობაში.

კაცს მუდამ მრავალი წვრილმანი ზრუნვა და აწა-ბაწა საქმე აქვს; საკუთარი ინტერესები მოცალებას აძლევს, რომ რამ იფიქროს, ან ქვეყანა გაიხსენოს, ან კაცობრიობაო. ამ გარემოებაში კაცი და მთლად საზოგადოება, ჩაფლული წვრილმანობაში, გატაცებული წვრილმანის ფიქრით, ჰკარგავს ადამიანის სახეს, ადამიანობას და თავის ბედით კმაყოფილ პირუტყვად გადაიქცევა ხოლმეო.

დღევანდელმა კულტურამ შეჰქმნა ძლიერი ღონისძიება, რომელსაც, სხვათა შორის, ის აზრი და დანიშნულებაცა აქვს, რომ ხელი შეუშალოს ადამიანის ასეთს გაპირუტყვებას. ეს ღონისძიებაა მწერლობა; მწერლობა უნდა ცდილობდეს აგებინებდეს კაცს ქვეყნიერობის ამბებს, უნდა ცდილობდეს, რომ კაცმა იცოდეს, სად რას ჰფიქრობენ, რას აპირებენ, რის გაკეთება უნდათ ქვეყნიერობაზე. მწერლობის ვალია, არ ასვენებდეს ადამიანს, მუდამ აღელვებდეს ამა თუ იმ ამბითა, აფხიზლებდეს, მღვიძარებაში ჰყავდეს, არ დააძინოს, არ გააჩეროს, სულ წინ მიჰყავდეს იმ საქმეთა შესასრულებლად, რასაც თვალწინ უყენებს კაცს მისი გამოფხიზლებული ცნობიერება.

უნდა გააგებინო ხალხს ამბები და გააშუქო ეგ ამბები აზრითა,—აი უმთავრესი დანიშნულება მწერლისა, ჟურნალისტისა. ამისათვის-კი საჭიროა სიმართლე. ამბები ნამდვილი უნდა იყოს, სიმართლით გადაცემული. არ ვარგა მათი ჩქმალვა, გადამახინჯება. ტყუილ ამბების ბეჭდვა ჰრყვნის საზოგადოებას, აჩვევს იცხოვროს ტყუილით.

ამბების გაშუქებაც აზრიანობით უნდა სამართლიანი იყოს, იმიტომ, რომ ამით შეუძლიან მწერალს რაიმე გავლენა იქონიოს მკითხველებზე და გაჭირვების დროს იმოქმედოს სიტყვით თავის თანამემამულეებზე. ყოველ ქვეყანისა და საზოგადოებისათვის საჭიროა იდეით-მოსილი აზრიანი ხელმძღვანელნი და წინამძღვარნი. უიმათოთ ქვეყანაცა და საზოგადოების დაქცეულს ტაძარსა ჰგავს, ნასაყდრალს, საცა აღარ მოისმის მხურვალე ლოცვა და დიდება. საზოგადოება უიდეო ცხოვრებით, რომელსაც აზრი რომ არ ასულდგმულებს, მოკლებული თავის სულიერ წინამძღოლთ, რომელთა ადგილის დაჭერასაც სცდილობენ, რასაკვირველია, ამაოდ, სხვა-და-სხვა გაიძვერანი, გამყიდველ-გამცემელნი ქვეყნისა, ვარდება სრულს ზნეობრივს უძლურებაში, ხოლო ამისთანა უძლურებას აუცილებლად მოსდევს სიკვდილი და განადგურება. ამისთანა საზოგადოებას არ ძალუძს რაიმე ზნეობრივი ძალა შეჰქმნას, არ ძალუძს, მაშასადამე, აღზარდოს ახალი თაობაცა, რომელსაც ასე სამართლიანად და პოეტურად ეწოდება „იმედი და ბუდეში ქვეყნისა“.

სიმართლე საჭიროა არა მარტო ჟურნალისტებისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც, თუ არ უნდა დაღუპვა და სიკვდილი.

—

თავის სამეცნიერო ფელეტონში ბ-ნი ელპე მსჯელობს, რომელი საჭმელი სჯობიან ადამიანის აგებულებისათვის, მცენარეულბოსტნეული თუ ხორცეულიო, და ბოლოს ასეთს აზრს დაასკვნის:

მცენარეული და ბოსტნეული საჭმელი კარგია და კი არ ასუსტებს ადამიანის აგებულებას, არამედ ბევრ-გვარ ავადმყოფობას სპობს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ უნდა უარ-ვყოთ ისეთი საჭმელები, როგორიც არის რძე, კვერცხი, ყველი და სხვაგვარი წველა. პირიქით, ასეთი საჭმელები ყოვლად საჭიროა ბოსტნეულ საჭმელების დასამატად. უხორცოდ-კი ადვილია კაცმა გადაიაროს, როგორც ამას ცხადად ამტკიცებს მრავალი ფაქტი. ხორცი არც-კი ვარგა იმისთვის, ვისაც უნდა გაამაგროს თვისის აგებულების ძალ-ღონე. ამ მხრივ ბოსტნეულ-მცენარეულ საჭმელების მომხრენი მართალნი არიან, როცა ამტკიცებენ, რომ სისაღისა და ჯანმრთელობის გზა, გზა ძალ-ღონისა და ქარმაგობისა მოხუცებაში, ბოსტ-ნ-ბაღზეა დაქნილი, იქით მიდის და არა საყასბოსაკენ და საქონლის საკლავ ადგილისაკენაო.

# თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

წარსულ შაბათსა და კვირას ორჯერ წარმოდგენილ იქმნა «ღალატი», ერთი მსახიობთა ამხანაგობის მიერ ქართულ თეატრში, მეორე დრამატიულ დასის არტისტების მიერ არტისტიულ საზოგადოების თეატრში.

ვერც ერთმა მათგანმა სასურველად ვერ იმოქმედა მაყურებელზედ. თუ პირველს სულეიმან-ხანი (შალიკაშვილი), ზეინაბი (კარგარეთელი), ერეკლე (შათირიშვილი) არ უვარგოდათ, სამაგიეროდ მეორე წარმოდგენას არ უვარგოდა ანანია (კ. მესხი), ოთარ-ბეგი (ივანიძე) და სხ.

ვერ დაგვაკმაყოფილა ნ. ჩხეიძის თამაშობამაც (რუქაია). ეს როლი მსახიობისთვის შეუფერებელია, მან ვერ შეჰქმნა ტიპი ჰარამხანაში გახრწნილის, ცბიერის ქალისა, რომლის ჯადოსნური მოქმედება და გველური სიცილი ისეთს აუტანელს მდგომარეობაში აყენებს ირაკლის. ამ უკანასკნელის როლის ამსრულებელს (ქორიძეს), როგორცა სჩანდა, როლი უკედ ჰქონდა შეგნებული, მაგრამ გადმოცემით-კი მსახიობმა ვერ გადმოგვცა. მისს თამაშობას ბუნებრივობა აკლდა, როლის უბრალო ადგილებსაც-კი მსახიობი გაზვიადებულის დრამატიზმით ჰხატავდა.

ნაკლულევანება მსახიობისა ის არის კიდევ, რომ არა-ქართული კილო აქვს ლაპარაკისა და გამოთქმა სიტყვებისა.

ხალხი პირველ წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო, თუ არ დავივიწყებთ, რომ ადგილების ფასები ძლიერ დაკლებული იყო; არტისტიულ საზოგადოების თეატრში-კი დიდი საზოგადოება დაესწრო წარმოდგენას, რაც, სხვათა შორის იმითიც აიხსნებ, რომ კვირა საღამოს ხმა გავარდა ტფილისში, ვითომც ავტორი პიესისა, ა. სუმბათაშვილი, წარმოდგენაზედ იქნებაო.

რასაკვირველია, ეს ხმა ჩვეულებრივი ჭორი გამოდგა.

ქ. ყი—ნი.

# წერილი
## რედაქციის მიმართ

«ივერიის» მე-65 ნომერში წავიკითხე თქვენი შენიშვნა ჩემის პედაგოგიურის სათამაშოს შესახებ, რომელიც «ქ. შ. წ. გ. საზოგადოების» მდივანს გადავეცი გადასასინჯავად და ვთხოვე, თუ მოეწონება საზოგადოების მმართველობას და თავისის ხარჯით დაჰბეჭდავს და გამოსცემს გასასყიდად, მე ვუთმობ ამ სათამაშოს უსასყიდლოდ. მაგრამ ერთი რამ გამიკვირდა, რომ თქვენის გაზეთის შენიშვნაში ოხუნჯობა გამოურიეთ. თუ სწერთ სათამაშოს შინაარსს, ბარემ სრულიად დაგეწერათ და კი არ გეოხუნჯათ. მაშ ნებას ვითხოვ, ბ-ნო რედაქტორო, სავსებით დაჰბეჭდოთ შინაარსი ამ პედაგოგიურის საწურთვნელის სათამაშოისა, რომელსაც შემდეგნაირი ხასიათი აქვს.

ამ სათამაშოს აქვს 625 სათამაშო ქაღალდი; ყოველს ქაღალდს ზედ აწერია ქართველ ხალხის გამოთქმა, ანდაზები, ნაკვესები, რჩევა-დარიგება, ბრძნული სიტყვები, ბრძნული აზრები, ლექსების ნაწყვეტები ქართველ პოეტთა და უცხოეთის გამოჩენილ კაცთა ზოგიერთი ფიქრები.

1) ვინც თავ-მოყრილი იქნებით სადმე, მიუსხედით სტოლს და აურიეთ ჯერ ერთმანეთში ეს ქაღალდები და სათითაოდ დაურიგეთ თითო-თითო, გინდა ორ-ორი, თუ გინდ მეტიც, და რაც ქაღალდები დარჩება დაურიგებელი—დააწყეთ ერთ დასტად სტოლის შუა ადგილას, რომ ყველას შეეძლოს თითო ქაღალდის აღება, ე. ი. ხესხება. ამოირჩიეთ ვინმე, ან ქალი, ან კაცი, რომელზედაც თავ-თავისი აზრი უნდა წარმოსთქვათ, და თუ ქაღალდში დაწერილი შეეფერება იმისს პიროვნებასა და ხასიათს, წინ დაუწყეთ ეს ქაღალდი, ზურგ-შექცეული, ე. ი. დაწერილი ქვეშ უნდა მოჰყვეს; ყველამ სათითაოდ, რიგრიგად და ამნაირად, როცა ყველანი თავ-თავიანთ ქაღალდებს ამორჩეულს წინ დაუწყობს, მაშინ არჩეულმა თავმჯდომარემ ხმამაღლა უნდა გადაიკითხოს ყველაფერი, რაც ამ ქაღალდებში ეწერება და იმ ამორჩეულმა კაცმა, ვისზედაც თქვენი აზრი ქაღალდში ამოიკითხება, უნდა გამოიცნოს, თუ რომელიმე თქვენთაგანმა დაუწყო ეს ქაღალდები: ამას რომ გამოიცნობს, იმის ადგილს უნდა დაჯდეს სხვა კაცი; თუ ამორჩეულს არ შეეფერება სიტყვები, რაც პირველს დარიგებულს ქაღალდებში სწერია, მაშინ დასტიდან უნდა ისესხოს სამი ქაღალდი თითო-თითოდ, მეტი არა, და თუ არც ეს სამი შეეფერება, მაშინ თავის ქაღალდებს წინ არ დაუწყობს. შეიძლება დასვათ ერთი-კი არა, ოთხიცა და ხუთიც ერთად და ამ ხუთივეს თქვენი ქაღალდები წინ დაუწყოთ. ყოველს ახალ ამორჩეულზედ, ვისზედაც ქაღალდების შემწეობით თქვენი აზრი გინდათ წარმოსთქვათ, ქაღალდები ხელ-ახლა უნდა აურიოთ და ხელ-ახლავე უნდა დაურიგოთ; ამ თამაშობაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ყველამ, რამდენიც იქნება შეკრებილი. რიცხვის ასე იმიტომ აზის ყოველს ქაღალდს, რომ ყოველმა მოთამაშემ თავ-თავისი ქაღალდის ციფრი დაიხსომოს, სანამ გამომცნობი მიხვდება, ვინ დაუწყო ქაღალდი.

2) შეიძლება მოხდეს, რომ თქვენს წრეში მოხვდნენ ერთად ქალ-ვაჟნი, რომელთაც მოსწონთ ერთმანეთი, ან ახლავე შეიყვარონ, და თავისი გრძნობა უნდა გამოუცხადონ ან ამცნონ როგორმე ერთმანეთს, მაგრამ ვერა ჰბედავენ, ან ვერ ახერხებენ; ეს სათამაშო ქაღალდი დაიხსნის მათ ამ გაჭირვებიდან და მოთამაშენი გაუზიარებენ თავ-თავიანთს გრძნობას ურთი-ერთს.

3) შეიძლება თქვენში იყოს ვინმე გასაკიცხი, ან თავისის მაბეზარის ხასიათით, ან რომელიმე ნაკლულევანებით სავსე ადამიანი; ამისთანას რომ დაუწყობთ წინ იმის შესაფერს სათამაშო ქაღალდებს, წაიკითხავს თუ არა, იმ წამსვე იგრძნობს, რომ თქვენ, მოთამაშეთ, კარგად ცუდლიათ ის გაცნობილი და მოავლენს, ჩაუკვირდება თავისს მდგომარეობას და წყენითაც თუ ეწყინება, ვერფერს ვერ იტყვის, რადგანაც ამ «გასართობში» საწყენი არა არის-რა.

4) შეიძლება კიდევ ასე ითამაშოთ: შეგხვდება ქაღალდი, რომელზედაც ანდაზა სწერია, მაგალითად, «კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო». ვისაც ეს ქაღალდი უჭირავს, თავის პირდაპირ მჯდომარეს უნდა მიჰმართოს, ან ვისაც აირჩევს, და პირველი სიტყვა ანდაზისა წარმოსთქვას «კუმ», ანუ პირველი მუხლი ანდაზისა: «კუმ ფეხი გამოჰყო»,—მეორემ, სწრაფად უნდა განაგრძოს და ამ ანდაზის შემდეგი სიტყვები სთქვას: «ფეხი გამოჰყო» და ასე დაასრულოს ანდაზა. რამდენი სიტყვაც არის ანდაზაში, იმდენს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ამ თამაშობაში, რომ თითო კაცმა თითო სიტყვა სთქვას.

5) შეიძლება კიდევ ასე ითამაშოთ: შეგხვდა ქაღალდი სასიმღერო ლექსით; თუ თქვენს შორის დაგესწრებათ ვინმე მომღერალი, ამღერებთ ამ ლექსებს; შეიძლება რამდენმამე მომღერალმა გუნდად იმღეროს.

6) შეიძლება კიდევ ასე ითამაშოთ: შეგხვდა რაიმე ბრძნული სიტყვა, ანუ აზრი და ვერ მიმხვდარხართ იმისს მნიშვნელობას; მაშინ უნდა მიჰმართოთ ვინმე მცოდნეს, რომელიც ახსნის იმისს მნიშვნელობას. სწორედ ასე ახსნიან ანდაზებსა და ნაკვესებს, რომლის შინაარსიც ბევრს არც-კი ესმის ახლანდელს დროში.

7) შეიძლება ლექსებიც ასე სთქვათ: ერთი რომ პირველს სტრიქონს იტყვის, მეორემ—მეორე სტრიქონი სთქვას, მესამემ—მესამე და ასე დაასრულოთ.

ამ «საწურთვნელის» გასართობით გონებისა და ჭკუის ვარჯიშობაში გაატარებთ დროს, სასიამოვნოდ და სასარგებლოდ; დაგახსოვდებათ ანდაზები, ნაკვესები, ბრძნული გამოთქმა, რომელიც ახლა ბევრს არც-კი ახსოვს და იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს, არის ამისთანა რამ გამოთქმა ხალხში, თუ არა; გაიცნობთ ქართველ მწერალთა, უცხოეთის გამოჩენილ მოღვაწეებს, პოეტთა სახელებსაც და თუ მოგეწონათ იმათი სიტყვები და აზრები, წაჰხვალთ და იმათ თხზულებებს მიჰმართავთ, ასე და ამ რიგად, გასართობით მხიარულად გაატარებთ დროს დიდიცა და პატარაცა.

კარგად ჰხედავთ, რომ აქ სათხუნჯო არა არის-რა.

კოტე ყიფიანი.

# დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

**ყაზანი**. რვა სტუდენტი ყაზანის უნივერსიტეტისა გაემგზავრა შორეულს აღმოსავლეთში თავისუფალ მეომრებად.

**ტიანძინი**. («რეიტ. სააგენტო»). რუსებმა ნიუჩუანში სამხედრო წეს-რიგი შემოიღეს.

**ვლადივოსტოკი**. «ვოსტოჩნი ვესტნიკ»-ში შემდეგი კორესპონდენციაა დაბეჭდილი მუკდენიდგან: «რუსთა ამხანაგობის ხე-ტყის წარმოება მდ. იალუს ნაპირას შეწყვეტილ იქმნა. დასტოვეს აუარებელი სათადარიგო მასალა ხე-ტყისა, ტივებად დამზადებული. ამხანაგობამა და იჯარადრებმა დიდი ზარალი ნახეს. იჯარადრებად ჩინელები და კორეელები არიან. ის ხმები, ვითომც ტყე სულ ძირიანად გაჰკაფეს და ასჭრესო,—ტყუილია; ტყეში ჯერ კიდევ ბევრია ხელ უხლებელი, დაბურული ხე-ტყეები, რომლის დამუშავებაც ამხანაგობას კონცესიით ჰქონდა აღებული».

**სევასტოპოლი**. ადმირალმა სკრიდლოვმა შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სტამბოლში გემის «ზაპოროჟეც»-ის უფროსს: «გთხოვთ მიეგებოთ «ვარიაგისა» და «კორეეცი»-ს მთელს კომანდას როგორც ჩემგან, აგრეთვე შავის ზღვის ფლოტის მსახურთა სახელითაც».

**თემირ-ხან-შურა**. 15 მარტს ორჯერ საკმაო სიძლიერით იძრა მიწა სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეზედ.

**ყაზანი**. ყაზანის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდალი ავად გახდა ფილტვების ანთებით.

**ლონდონი**. («რეიტერის სააგენტო»). მეფემ უბოძა პეტერბურგში ახლად დანიშნულს ელჩს ხარდინჯს ტიტული ბარონეტისა.

**სტამბოლი**. როგორც სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, პორტა დასთანხმდა ელჩებისაგან წარდგენილს წინადადებას იმ პირობით, რომ ჯერ-ჯერობით მაკედონიის ჟანდარმერიაში 30 უცხოელი აფიცერი იქმნას მიღებული და 60 უნტერ-აფიცერი.

**ვლადიმირი**. დაიწყო კრება რუსეთის საისტორიო განათლების მოყვარულთა, რომელიც იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზედ არსებობს. განზრახულია უფასო ბიბლიოთეკის გახსნა და სახალხო კითხვათა მოწყობა.

**ნეაპოლი**. გუშინ იმპერატორი ვილჰელმი მთელს დღეს გემ «ჰოჰენცოლერნ»-ზედ იყო. დღეს იმპერატორმა დაათვალიერა იტალიის სამი სამხედრო გემი და ხვალ ჰფიქრობს გაეტუს წაბრძანებას.

16 მარტი.

**კიევი**. სოფიის ტაძრის მოედანზედ დროებით ჯარის უფროსმა დაათვალიერა თავისუფალი მეომრები, შორეულ აღმოსავლეთში მიმავალნი. ყველანი სათადარიგონია, ყოჩაღად გამოიყურებიან მარჯვედ არიან და მხიარულნი; ბევრია გონება-განვითარებულნიც. თავისუფალ მეომართ ცერემონიალურის მარშით გაიარეს.

**ირკუტსკი**. გუბერნატორის თანადასწრებით ბჭობა ჰქონდათ ვაჭართ იმის თაობაზედ, თუ როგორ მოახერხონ გადაზიდვა რკინის გზით საჭმელ-სასმელისაო.

**ნიუ-ჩუანი**. («რეიტ. სააგ.»). კონსულებსა და უცხოეთის რეზიდენტებს ეუწყათ ბრძანება გენერალ-ლეიტენანტის ალექსეევისა, რომ ნიუ ჩუანში სამხედრო წეს-რიგია შემოღებულიო. ამ ბრძანებით აკრძალულ იქმნა აგრეთვე სამხედრო კონტრაბანდის გატანა.

**ნიუ იორკი**. სასჯულო საქმეთა უწყების სენატის კომისიამ გადასწყვიტა. მიღებულ იქმნას კანონ-პროექტი, რომლითაც სიკვდილით დაისჯება ის დამნაშავე, რომელიც განიზრახავს პრეზიდენტისა, სახელმწიფოს სხვა რომელისამე უმაღლესის მოხელისა და უცხოეთის დიპლომატების მოკვლას.

**ბერლინი**. ზანზიბარიდგან მიღებულ იქმნა დეპეშა, რომ შეერთებულ კუნძულებზედ დიდი გრიგალი იყოო. თანახმად ამ დეპეშისა, კუნძულის უმთავრესი ქალაქი სენდენი დანგრეულა. ზარალი 20,000,000 მარკამდეა. დაიღუპა 90 კაცი, მათ შორის 30 თეთრ-კანიანიცა.

**პეშავერი**. ავღანის ემირის ძმა ნასრულლა-ხანი მძიმედ დასჭრა შელაპარაკების დროს მაჰმედ-უმარ-ხანმა, მის მავე ღვიძლმა ძმამ. ემირი ბაღბალში იმყოფება; მისი მდგომარეობა საშიში არაა.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

### პეტერბურგის ბირჟა

12 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 43,60 |
| პარიჟში „ | 37,62 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 1/8 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 91 1/4 მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 363 1/2 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 303 1/2 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 264 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 87 1/2 წვრ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 88 წვრ. გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 3 წ

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ხალხი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ. ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებია სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
**ჰიგიენური**
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
**გ. ფ. იურგენსისა.**
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ. **ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში**. (24—10)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა
2.
# ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

ს.-პეტერბურგის კომპანია
# „ნადეჟდა“
ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადა თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—ნ.—25)

| За годъ съ пересылкой **6 р.** | ОТКРЫТА на **1904 г.** ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету (26-й годъ издан.) **„РОДИНА“** (26-й годъ издан.) | РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ **2 р.** |
|---|---|---|

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

**52** №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА **52** №№ полит. и обществ. ГАЗЕТЫ **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“.

**36 КНИГЪ** а именно: 1) 12 книгъ РОМАНОВЪ и повѣстей, 2) 5 книгъ иллюстрир. издан. „ПОКОРЕННЫЙ КАВКАЗЪ“, 3) 5 книгъ иллюстр. изд. „ПОДЪ щитомъ СЕВАСТОПОЛЯ“, 4) 12 книгъ иллюстрир. сочин. „НОВѢЙШАЯ ИСТОРІЯ“, и, кромѣ того,

**2** иллюстрированныхъ изданія: „РЫЦАРИ КРУГЛАГО СТОЛА“ четыре поэмы ТЕННИСОНА съ рис. Дорэ, Райда и друг. и 2) изданіе, перед. содерж. 27 произв. Шекспира, съ 36 рис. п. назв. „ГЕРОИ **ШЕКСПИРА**“

**100 БЕЗПЛАТН. ПРИЛОЖЕНІЙ** 12 № „Другъ дѣтей“, 12 № „Сельское Хозяйство“, 12 № „Домашній театръ“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., 12 № нотъ.

**ОТРЫВНОЙ КАЛЕНДАРЬ** на 12 мѣсяц. 1904 г. и **КАЛЕНДАРЬ-СПРАВОЧНИКЪ**.

Прилож. 99-е) большая ОЛЕОГРАФІЯ **ВОЗЗВАНІЕ МИНИНА** къ нижегородцамъ, 100) ГРАВЮРА напеч. въ тон. **„МАСЛЯНИЦА“**

Подробная программа безплатно.—„РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# სტამბა
ე თ ი ქ ვ მ ე ი ვ. ხ ე ლ ა ძ ი ს ა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.


Дозволено цензурою Тифлисъ 16 мартъ 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.